ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 77/10

თბილისი (19.) „1“ „ოქტომბერი“ 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ ქ.თბილისის №171 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შ იოსებ მჭედლიშვილის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ახვლედიანი ბისი რეგისტრატორი” შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ზვიად ახვლედიანის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, CPV 79418000 (შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურეობები) მომსახურების შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 600(ექვსასი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

3.1. შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირება, რაც მოიცავს და გულისხმობს: შესყიდვების გეგმის, ხელშეკრულების, ოქმების და შესყიდვებთან დაკავშირებული წერილების პროექტის შემუშავებას, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ჩატარებისთვის დოკუმენტაციის მომზადებას, შერჩევა-შეფასების პროცესში და კვარტალური ანგარიშის შედგენაში მონაწილეობას.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2011 წლის 1 ოქტომბრიდან, 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. სსიპ „№171“ სკოლა, ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მკრ-ნი ძოწენიძის 3

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.3. თვეში მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

5.4. ანაზღაურება მიწოდებულ მომსახურებაზე იწარმოებს ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს

თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორის მ/შ ზინა წერეთელი

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ №171 სკოლა	შ.პ.ს. „ ახვლედიანი ბისი რეგისტრატორი “
მისამართი: ნუცუბიძის 3მკრ-ნი	მისამართი: ქ.თბილისი ანტონოვსკაიას№9
ბოსტნიკის ქ.9 ს.ს. ლევანი ზანგის ეუფე-ს ბ. ფოლადი 0/EE73LB0121111326216000 ს.ბ. 204889219 ტ. 2.31-60-51	ს/ს „საქართველოს ბანკი“ ა/ა: GE51BG0000000901252500 ს/კ: 204561946
დირექტორი	*დირექტორი:*
იოსებ მჭედლიშვილი	*ზვიად ახვლედიანი*